ქაში ერევა. რა უყუთ, რომ ზღარბივით პატარაა, აცდელი და როცა წამოიზრდება, რამდენ ეინებს, შეტამბისა და სხვა და სხვა ქორ-ვაჭრებსაც ჩამოიტოვებს. ახლა? ახლა, რა მქნას, მსახური ბიჭია, თავის პატაროს სულ თავადებში შეკაურებს და შესტიკინებს. მოჩვენებითი აქტიურობით ყველა ვაჭირვებასა და სისარულში მთარში უდგას. საყსახოს წინ გამოჩეკილ ქალაქელი ბიჭი პატარა ფინაა ძალიყოთა; ვიდრე პირდაპირ უდგებარ შორიასლოს, დარბის, ყფეს და ერთ ამბავშია, გაბრუნდები და იმწუთშივე კოჭებში გეცემს.

გზობლივთ ვ. ცეტიჩიშვილის დარდიმანდ კინტო და სოფლის პატარა ბიჭი კუწიო.

შესანიშნავადა წარმოდგენილი სპექტაკლში მეფე და მისი ამალა, თავისი სახლთუხუცესით (მსახიობი ნ. კეშელარი), ქალაქის მოურავი (მსახ. ი. შხელი) და ჯარისკაცები (მსახიობები: ლ. მირიანაშვილი, ვ. გიგინიშვილი, რ. ჭყონია). ისინი ფეოდალური რეაქციის პაროდიულ სურათს ქმნიან. პაროდიულობას აძლიერებს მუსიკალურ გრატესემი მეფის ამალის მსვლელობა (მუსიკალური გაფორმება კომპოზიტორი ი. ბობოხიძისა).

ქ. ძაძაძია (მეფეს ბარბატ მესამე) სატირის მწვავე ფორმებს იყენებს, რითაც ზისხლსა და სიძულვილს იწვევს მსურებელში.

საინტერესოდ არის მსახიობების მიერ გახსნილი ფიცილსა და მისი მუელის კაწაწას სახეები. (ფიცილა კომბლეს ძმაა), სული აქვს, სოფლის ამ უკვანო დედაცა, გაწუწულებული სული აქვს და ხელის ნატვებს სახეზე აქვს ასახული: წარბი წარბში გაუყრია, კუშტად, უნდობლად იცქირება. სახის ყოველი ნაკეტი გამახვილებული და გაალმასებული აქვს. ამკარაა როგაპია და ახლო მიკარებს უნდა ერიოდ. იგი დღენიდავ გაიორწინავს და გამბედრებულ ფეორბოს მდღეობა, მაგრამ მაინც სულ ერთავად წუწუნებს და ვაი-ვიშობს. მსახიობმა ვ. ჭიჭინაძემ (ფიცილა) და რესპ. დამსახ. არტისტმა ალ. კირკიტაძემ (კაწაწა) კარგად იგრძნეს განსახიერებელი როლების შინა ბუნება და მხატვრის მიერ მარჯვედ მიგნებულ გარვეწულ პორტრეტს მისი შესატყვისი სული ჩაუდგეს.

თოჯინის გარვეწული ფორმიდან გამომდინარე მნიშვნელოვან სახეებს ქმნიან სპექტაკლში: ვ. ნიკოლაიშვილი (ფეფე, მესტირე), გ. ჩარქიშვილი (I ყასაბი), რ. ჭყონია (II ყასაბი), ი. შხელი (მამასახლისი), ალ. კირკიტაძე (გურუღი), რესპ. დამსახ. არტისტ ლ. მირიანაშვილი (კაწაწას მეზობელი — მამო).

ევექტიურია მ. გაგანიძის მიერ განსახიერებული წუნია. თუმცა მის შესრულებაში არის რაღაც ესტრადული, რაც ცოტა არ იყოს სახეს ზედაპირულსა ხდის.

სწორი არ ექნებოდით თუ ვუსაყვედურებდით მსახიობ ვ. ნიკოლაიშვილს, კომბლეს სატირფოს — მარინეს როლის შესრულებელს. ამ სახის სქემატურობა პეისიდან გამომდინარეობს, მსახიობის ყოველ ცდა — დააღწიოს თავი ამ ნაკლს უნაყოფოა.

ბ. კალაძე კარგად დაატარებს ძროხას და საჭირო ეფექტს ალწევს.

დიდი მუშაობა აქვს ჩატარებული ამ სპექტაკლში მხატვარ-შემსრულებელს ბ. ქვლივიძეს. იგი მხარში ედგა მ. ბერ-



ტენიშვილს, როგორც კარგი პროფესიონალი და კოლეგა. ბ. ქველიძემ კარგად გრძნობს გარემოს, ეს იქნება პირველი მოქმედების ზედაპირული, პოეტური პერსაჟი, უკანასკნელი მოქმედების მკაცრი გარემო თუ ძველი ქალაქური ცხოვრების კოლორიტი, ყველა შემთხვევაში მხატვარ-შემსრულებელი სასურველ შედეგს აღწევს.

რეჟისორსა და მხატვარს ასევე მხარში ედგა თოჯინების შემსრულებელი ი. კილნეცსკია. მან კიდევ ერთხელ გამოამყარა საქმის ღრმა ცოდნა, იშვიათი ალღო. იგი დიდი სიყვარულითა და პროფესიონალიზმით ქმნის მთელ რიგ ხატებს, რომელსაც სანიშნოდ, სამუხეუმო მნიშვნელობაც კი აქვთ.

სექტაკლის შემქმნაში აგრეთვე დიდი შრომა გაწიეს შემოქმედებით — ტექნიკურმა პერსონალმა: თოჯინების მექანიზატორმა ნ. ჯიჯიშვილმა, რეჟისორის თანაშემწემ ა. ჩიკვა-

ძემ, ბუტალორმა ვ. პოტრიჩინოვსკიმ, თეატრის მანდატის ნაწილის გაშვებ, უფროსმა გამნათებელმა, მკერძის სკანინ კონსტრუქტორმა და სხვებმავე.

თბილისის თოჯინების ქართულ თეატრში დადგმული გ. ნახუროშვილის „კომლო“ ახალი საქმის კარგი დასაწყისია. პირველი ცდის კვალობაზე იგი უდაოდ მნიშვნელოვანი და მისასალმებელი ფაქტია.

ამ თეატრის დამმარსებელსა და ამადარს გ. მიქელაძეს მოსწონდა თოჯინების განკუთვნილი წარმოდგენა ჰქონდა შექმნილი ადრე. მაგრამ რატომღაც შემდეგ წლებში თეატრმა ეს გზა მიივიწყა. ახლა დადგა მომენტამ გზის აღორძინებისა. ამიტომ თეატრის ხელმძღვანელობა უნდა აღმოჩნდეს ბოლომდე თანმიმდევრული, თუ მას სურს, რომ განახლების ბეჭედი დაასვას თეატრს, ახალი სხივი შეიტანოს დედაქალაქის თეატრალურ ცხოვრებაში.

## კოლონეთის პრესა კლემსი ჰიჭინაძის

### ახალ საგალატო დადგმაზე

რამდენიმე წნის წინათ ცნობილმა საბჭოთა ბალეტმაისტერმა ალექსი ჰიჭინაძემ, რომელიც თენიანხვრით იყო პოლონეთში მიწვეული, ვარშავის საოპერო თეატრში განაორციელა კლასიკური ბალეტის „დონ-კიხოტის“ დადგმა ახალი რედაქციით, სექტაკლში წამყვან პარტიებს ასრულებენ პოლონეთის ბალეტის ცნობილი ოსტატები: მარია კუნიუოვსკა, ჰენრიეტ ვერარო, სტანისლავ შოშინსკი და ვიტალიუ ვრუცკო. მხატვრობა გეოლანონის იზაბელა კონაევსკას. სექტაკლში მიჰყავს თეატრის მთავარ დირიჟორს ბოგუსლავ მაღდის.

პრემიერამ, რომელსაც ესწრებოდა საბჭოთა კავშირის ტლნი პოლონეთში აშხ. ა. არხანოვის და სეიდლის სხვა პასუხისმგებელი მუსიკები, მსაურბებელმა და სპეციალისტთა ადვოკატმა გამოიწვია პრემიერის დამოკიდებლობაზე ჩვენს დედაქალაქში ვარშავის საოპერო თეატრს და ვსაუბრობთ ჯერ თვით ალ. ჰიჭინაძეს, შემდეგ კი სახალატო დანის წამყვან სოლისტს ჰენრიეტ ვერაროს. რამდენადაც თეატრის მთელი კოლექტივის სახელით მაღალა შეფასება მიხვდა საბჭოთა ბალეტმაისტერის ნამუშევარს.

ამ დღეებში რედაქციამ მიიღო რამდენიმე წერილი, რომლებიც პოლონეთის პრესა გამოცხადებდა ალ. ჰიჭინაძის ახალ ნაწარმებს.

ჯერ კიდევ პრემიერამდე, გენერალური რეპეტიციის შემდეგ, ვახუთი „ქისარეს ვე-

ჩორინი“ (10 აპრილი 1964) სათაურით „დიდებული ცეკვის სტიქია“ წერდა: „ეს ბალეტი, რომელიც თითქმის 100 წლის წინ არის შექმნილი, უხვია ცეკვებით. აქამდე ესასწარმ ცეცხლოვან ფანდანგოსა და სეგიდილას, ბოლეროსა და სხვა ცეკვებს მრავალი ვარიანტი გაჩნდა, ახლა კი ჩვენ მოწმენი გავხდით სრულიად ახალი, ორიგინალური, კლასიკური ვარიანტისა, რომელიც უფრო სანამედროვედ ავთორებს მას, რაც 100 წლის წინ შექმნა ბეტანა. ალ. ჰიჭინაძეს, ამ ვერსიის ავტორს, ახსიათებენ ახლის გრძნობა, დინამიურობა და ლიგია“.

პრემიერის შემდეგ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო „Trybuna Ludu“ (11 აპრილი, 1964) სათაურით „დონ-კიხოტის“ — ბალეტისა და ბალეტმაისტერის წარმდება, წერდა: „ამდენად ჩვენს წინაშეა სექტაკლი, რომლის დადგმა შესანიშნავად გვიჩვენებს ვარშავის ოპერის სახალატო დანს და ამავე დროს, მსაურბებლის კლასიკური ცეკვის დიდ სიყვარულს ნენრეგას. თაადენე ვანცეცხურების მოცეკვავეთა პარტიონულობა და თვით ცეკვის სილამაზე, ერობელ კიდევ ნაიღი ხდება, რომ ასეთი ბალეტები, კარგი დადგმითა და კარგი შესრულებით, მთლიანად იპრობის მსაურბებელთა გულებს. ორჯერ პრემიერაზე უკველი აქტის დასაწყისისა და ა-

ხასრულს, ჰუნბა ტაში, როგორც დადებულ ცეკვის სტიქიისაგან გამოწვეული აღბადების გამოხატულება.

ამდენმელის ხელწერა მყვირათა განსხვავდება ყველა ძველი ბალეტისაგან, რომელიც კი დადგმულა ვარშავის სცენაზე და ეს, უპირველეს ყოვლისა, დიდი დამსახურებაა ჩვენი სტუმრის, ცნობილი საბჭოთა ბალეტმაისტერის ალექსი ჰიჭინაძისა. თუმცა მან დადგა ბეტანასა და გროსის შიგრი ოდესაც შექმნილი ბალეტის, მაგრამ, მოუხდებდა ამისა, ეს არის სრულიად ახალი ვარიანტი „დონ-კიხოტისა“ ახალი ლიბრეტოს ჩათვლით, ახალი ქორეოგრაფიისა სანატრეტის და ძალზე ენუქტური. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ბიოვი სცენების შესანიშნავი კომპოზიცია. მთი უნეტეს, რომ ვარშავის სცენაზე პირველად მოხერხდა და ჩვენც პირველად გავხდით მოწმენი კორდებელტის ასეთი პარტიონულობისა“.

„სურბერი პოლიცა“ კი (13 აპრილი, 1964) ასეო შეფასების ოდენა: „სურბერი დანსასრული დადგმობა მოსკოლად მოწვეული, ცნობილი საბჭოთა ბალეტმაისტერის ალექსი ჰიჭინაძის ტრიონუსი“.

როგორც იტყვიან, აქ კომენტარები ზედმეტია.

ამდამად, ალ. ჰიჭინაძე მოსკოვშია და მთელი ვატკეცებით მუშაობს სულხან ცინცაძის მეორე სიმფონიის დადგმაზე.



პეტრე უმიკაშვილი

# ქ ა რ თ უ ლ ი თ ე ა ტ რ ი ს მ ო ჭ ი რ ნ ა ხ უ ლ ე

ზელიმხან მეზვეიშვილი



ეტრე იოსების ძე უმიკაშვილს თვალსაზრისით ადგილი უპირავეს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ლიტერატურისა და კულტურის ისტორიაში. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული პროფესიული თეატრის აღდგენასა და განვითარებაში. მართალია, პ. უმიკაშვილი არტისტი არ ყოფილა, მაგრამ თავისი პიესებით, სტატიებითა და პრაქტიკული საქმიანობით აქტიურ მონაწილეობას იღებდა ჩვენი ქვეყნის იმდროინდელ თეატრალურ ცხოვრებაში.

პეტრე უმიკაშვილს ახალგაზრდობაშივე იტაცებდა თეატრალური ხელოვნება. ჯერ კიდევ გიმნაზიის მოსწავლე, თით-

ქმის ყოველ კვირას ესწრება იტალიური ოპერის წარმოდგენებს, რომლებიც 1857 წლიდან იმართებოდა თბილისში. „ჯიბში ფული არა მქონდა, — ვკითხოლობთ მის მოგონებაში, — და ის ღმერთმა იცის, რა ვაივაგლახით შევიპარებოდი ხოლმე. ხან კაპელდინერს ორ შაურს მივცემდი, ხან ხალხის დიდ ჯგუფში შევერეოდი და შევსლტებოდი, ან ძველ ბილეთს გამოვიყენებდი. თუ ვერ ვაზერხებდი ამას, შევდგებოდი კიბეზე და საიდანაც კარგა მოისმოდა მუსიკისა და სიმღერის ხმა, იმ კარისაკენ დავდგებოდი მთელი მოქმედების მოსასმენად“<sup>1</sup>.

ამ პერიოდში პ. უმიკაშვილი იმდენად გატაცებულია საოპერო ხელოვნებით, რომ მუსიკალური განათლების მისაღებად იტალიაში მუსვლაზე ოცნებობს. მას მტკიცედ სჯერა, რომ რაც უნდა დიდი სახელი მოიპოვოს მწერლობაში, მუსიკაში მაინც უპირველესი მანერა იქნება<sup>2</sup>. მაგრამ ხელმოკლეობის გამო იგი ვერ ახერხებს მუსიკალური განათლების მიღებას.

„მე უთვატროდ მკვდარი ვარ, ჩემი სიცოცხლის მარტო თეატრშია, იქა ვცოცხლდები“, — წერდა 22 წლის პეტრე უმიკაშვილი. მას სიბერემდის შერჩა თეატრალური ხელოვნების მხურვალე სიყვარული. 61 წლის ასაკში იგი აღნიშნავდა:

<sup>1</sup> პ. უმიკაშვილი, „ჩვენი თეატრის თავადისავალი“, „ივერია“, 1899 წ., № 210.

<sup>2</sup> შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების არქივი, პ. უმიკაშვილის კოლექცია, 3-ა, 88.



„ჩემზე დიდი გავლენა ჰქონდა ოპერას და ეს რომ არ ყოფილიყო, ჩემს თავს ძალიან მოკლებულად ჩავთვლიდი ერთის ღირისის ელემენტებისაგან, რომელიც გვაკარებს მშვენიერებას, კეთილს, გვაკეთილშობილებს დაბატონსან მოქმედებას ინსტიტუტურ და არა ნაძალადეგ მოთხოვნებზე გვიბრუნებს“.

როგორც ცნობილია, ქართულ პროფესიულ თეატრს საფუძველი ჩაუყარა გ. ერისთავმა. მაგრამ 1850 წელს შედგენილი მუდმივი დასი რამდენიმე წლის შემდეგ დაიშალა და ქართულმა თეატრმაც არსებობა შეწყვიტა. 60-იან წლებში მუდმივი დასი და თეატრი არ არსებობდა.

გიმნაზიის ახლად კურსდამთავრებული პ. უმიკაშვილი შეაგვად განიცდობდა, რომ გ. ერისთავის თეატრის დახურვის შემდეგ გასცემა ჩვენი კულტურის მხურვალე კერა, შეწყდა ქართული წარმოდგენების გამართვა. მას მიზნად დაუსახავს ნაწილობრივ მინერ შევეს ეს ხანგრძლივ და 1861 წელს გუ-მართავს გიმნაზიის მოსწავლეთა შინაური წარმოდგენა. თავის მიგონებაში — „ჩვენი თეატრის თავგადასავალი“, რომელიც 1899 წელს დაიბეჭდა „ივერიაში“, ამის შესახებ გადმოცემას: „ერთი წლის კურსდამთავრებული ვიყავი, მაგრამ გიმნაზია მიყვარდა, იქ ამზანაგები მყავდა და დავდიოდი ბოლომდე მათთან ვეითხულობდი ზოგჯერ ერთად, სხვათა შორის, ქართულ წიგნებს. დაეწყეთ ლაპარაკი ქართულ თეატრზე და გადაწყვიტეთ უკველად ქართული წარმოდგენა გავემართა. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ გორელი რამდენიმე მოსწავლე ერთა, რომელთაც გორში ეთამაშნათ. სცენა მზად გვეჩინდა, დირექტორი და მთარბობა იან გვიშლიდა. მოვიტანე ბუბები „გაყრა“ და „მე მინდა კენია გავეზღუ“. გაეფაფეთ როლები, მე რეჟისორობა მერგო. ერთ უკმე თუ კვირა დღეს დავენიშეთ წარმოდგენა, შევერბით ჩვენშივე თითო ამაზნი სათლთისის საყიდლად, ვიწვეთ ტანისამოსი, როგორც კი შეიძლებოდა. რასაკვირველია, ეს შინაური წარმოდგენა იყო, მაგრამ ხმა გავარდნილიყო და ყმაწვილებს მშობელ-ნათესავებთან დაბრუნა იეთს იხე, რომ არ მოველოდით. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა“<sup>3</sup>.

რამდენიმე კვირის შემდეგ პ. უმიკაშვილს, ანტონ ფურცელაძესთან ერთად, გიმნაზიის მოსწავლეთა ძალებით გაუშარბათს სახალხო წარმოდგენა, რომელსაც დიდი წარმატება ჰქონია. ბიესები იგივე ყოფილა და ბევრი მაყურებელი დასწრებია. მის ზემოხსენებულ მიგონებაში ამ წარმოდგენის შესახებ ვკითხულობთ: „პირველი მოქმედება რომ შესრულდა, მაშინ დავმშვიდდით. ტანის კურსს, არტისტების გამოწვევას ბოლო არ ეღებოდა. თეატრი საესე იყო, კასას ამტერვდნენ ბილთის მუიდედნიო, როგორც გვიხიბრეს. ბილეთი გასაყიდი აღარ დარჩა. მთელმა წარმოდგენამ აღტაცების გრგვინით გაიარა“.

პეტერბურგის უნივერსიტეტიდან დაბრუნების შემდეგ პ. უმიკაშვილი ქართული ინტელექციის მოწინავე წარმომადგენლებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებდა სცენისმშეყარეთა წარმოდგენებისა და ლიტერატურული საღამოების გამართვაში. მას ბევრი დაბრკოლების გა-

დალახვა უსდებოდა, მაგრამ მტკიცედ სჯეროდა, რომ სწორედ ეს წარმოდგენები და საღამოები მშვენიერად დნენ საფუძველს ქართული პროფესიული თეატრის აღდგენისათვის. პ. უმიკაშვილს ნატერა შეუსრულდა 1879 წელს, როცა ი. ჭავჭავაძის, გ. თუმანიშვილის, დ. ერისთავისა და ნ. ავალიშვილის ინიციატივით ჩამოყალიბდა ქართველ მსახიობთა მუდმივი დასი, აღდა ქართული კულტურის დიდებულთა ტაძარი. ამ დიდი ეროვნული საქმის განხორციელებაში, სხვა ქართველ საზოგადო და თეატრული მოღვაწეებთან ერთად, თვალსაჩინო წვლილი მიუძღოდა პ. უმიკაშვილს. ამ პერიოდიდან იწყებს პ. უმიკაშვილი ბიესების წერას. პირველი ბიესა 1879 წლის მიწურულში დასწერა. (სამოქმედობიანი კომედია „გულთმისანი“). სიუჟეტი ავტორს აღებული ჰქონდა სულხან-საბა ორბელიანის წიგნიდან „სიბრძნე — სიერუსისა“. ბიესის მოქმედება ჩვენს წვლთაღრიცხვამდე ერთი საუკუნის წინათ მიმდინარეობდა მცხეთაში. ამ ბიესით პ. უმიკაშვილს უნდოდა დრამატული მწერლობის ყურადღება ისტორიულ-ეროვნული თემებისაკენ წარემართა. „გულთმისანი“ სცენაზე პირველად 1880 წელს 20 თებერვლის დადა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია პ. უმიკაშვილის ერთმოქმედებიანი ბიესა „სამზადისი“, რომელიც წლებს განმავლობაში დიდი წარმატებით იდგმებოდა ქართულ სცენაზე. ბიესა ქართულ კულტურის ისტორიის ერთ დიდმნიშვნელოვან მომენტს ესებოდა, კერძოდ, გ. ერისთავის კომედია „გაყრა“ პირველი წარმოდგენის გამართვის, რომელმაც სათავე დაუდო ჩვენი ეროვნული თეატრის აღორბინებას. ბიესა „სამზადისი“ თავიდანვე მიიქცია საზოგადოების ყურადღება. ჯერ კიდევ 1892 წელს გასული „ივერია“ იტყობინებოდა, რომ პ. უმიკაშვილმა დაწერა ბიესა „სამზადისი“ და წარუდგინა სათავეთა ცენსურის სცენაზე დადგმის ნებართვის მისაღებად. გასული იქვე აცნობდა მეთხოველებს ბიესის მოკლე შინაარსს, რომელსაც ავტორმა საფუძველად დაუდო კომედია „გაყრა“ პირველი წარმოდგენის გამართვის ზოგიერთი ცოცხალი მონაწილის პირადი ნაამბობი იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობდა მზადება ამ კომედიის სცენაზე დასადგმლად<sup>4</sup>.

პ. უმიკაშვილის „სამზადისის“ შესახებ გ. წერეთელი გადმოცემას: „ერთმა შესანიშნავმა შემთხვევამ გამოიწვია ზემოხსენებულ ბიესის — „სამზადისის“ შეთხზვა. 1892 წელს ქართული თეატრის გამგეობის თავმჯდომარე გ. მ. თუმანიშვილი და გამგეობის მდივანი პეტრე უმიკაშვილი დიდ მწუხარებაში იყვნენ ქართველ მსახიობთა შევიწროებულ მდგომარეობით. ქართულ თეატრს თანდათან უფრო დატყუო ქართული საზოგადოების გულგრილობა. წარმოდგენები იმართებოდა, მაგრამ როგორც თვით თეატრი, ისე მისი კასა დაცარიელებული იყო. მაყურებელი არსად იყვნენ. თვით მსახიობთაც ევარგებოდათ ხალისი თამაშობისა... ამ მდგომარეობაში იყო საქმე, როდესაც ქართული დრამატული საზოგადოების თავმჯდომარე და მისი მდივანი ფაქრობდნენ რამენიართთა გაეკუთხლებინათ ქართული სცენა არაჩვეულებრივი მოვლენით და გამოეყვითათ ქართული საზოგადოების ინტერესი ქართული სცენისათვის. იმათ აირჩიეს და ბოლოს გადაწყვიტეს საიუბილეო წარმოდგენისთვის შეემზადებინათ ახალი ბიესა,

<sup>3</sup> პ. უმიკაშვილი, „ჩვენი თეატრის თავგადასავალი“, „ივერია“, 1899 წ., № 210.

<sup>4</sup> „ახალი ამბავი“, „ივერია“, 1892 წ., № 275.



რომელიც გამოხატული ყოფილიყო საუკეთესო მომენტი ქართული თეატრის დაარსებისა. ეს საქმე იყინარა გამგებობის მდივანმა პ. უმიკაშვილმა და ისტორიული მომენტის საგნად აიღო გ. ერისთავის პიესის — „გაყრის“ პირველი რეპეტიცია, მომზადარი შამინდელი გიმნაზიის დარბაზში<sup>5</sup>.

მოუხდებდა იმისა, რომ „სამზადისი“ საგანგებოდ დაიწერა ქართული თეატრის უნუგვემო მდგომარეობის გამოსასწორებლად, ცნებურისა თუ სხვა მიზეზების გამო ეს პიესა სცენაზე პირველად დაიდგა მისი დაწერის ექვსი წლის შემდეგ — 1898 წლის პირველი იანვარს. წარმოდგენის დიდძალი მაყურებელი დასწრებისა და ქართული სცენის ნამდვილ ტრიუმფად გადაქცეულა. აი, როგორ აღწერს გ. წერეთელი „სამზადისი“ პირველ წარმოდგენას: „იმ საღამოს დიდძალი ხალხი მოაწყდა ქართულ თეატრს. ადგილები რომ აღარ იყო, მრავალი სკამები მიადგეს, იქ სავა კი ცარიელი ადგილები მოიპოვებოდა. ფასიც არაკვი უნებოდა. თუნდ ერთიორადაც ვიპოვებდნენ, ოღონდ ადგილი ეშოვნათ. ყველას სურდა ენახა ის ისტორიული მომენტი ქართული თეატრის დაარსებისა, რომელიც მთლად კულტურული მოძრაობით იყო გამოწვეული... მაღლობის ღირსია ბ-ნი პეტრე უმიკაშვილი, რომელმაც ასე საუკეთესო დავებიანება სცენაზე წარსული შესანიშნავი მომენტი ქართული გონებრივი აღორძინებისა“.

ამ წარმოდგენაზე სპეციალური რეცენზია დაიბეჭდა აგრეთვე გაზეთ „ივერიაში“, სადაც რეცენზენტი მ. ნასიძე მაღალ შეფასებას აძლევს წარმოდგენას და განსაკუთრებით აღნიშნავს პიესის მხატვრულ ღირსებას. რეცენზიაში ვკითხულობთ: „როგორც ჩინებულმა მხატვარმა ორი-სამი ზანის გახმით დასატის საზე, რომელიც თუნდ დაბნელებული არ არის, მაგრამ საკვირველად კი ჰგავს ნამდვილ სურათს, — ისე პეტრე უმიკაშვილის მომქმენდი არიან დასატულნი. თუნცა ბევრის არას ლაპარაკობენ, მაგრამ ორიოდ მათი სიტყვა ისე ცოცხლად ახასიათებს მოქმედს, რომ მაყურებელი სრულს იღვრისა ეძლევა. ჰგონია, რომ იმის წინ ლაპარაკობენ ნამდვილად: პლატონ ოსელიანი, გ. ერისთავი, ქეთევან ორბელიანი, რევაზ ერისთავი, დიმიტრი ყიფიანი, მისეილ ჭილაშვილი, გრიგოლ შანშიველი და სხვანი“.

ამის შემდეგ პ. უმიკაშვილის „სამზადისი“, გ. ერისთავის პიესებთან ერთად, ხშირად იდგებოდა სცენაზე, როგორც ქართული თეატრის დღესასწაულისადმი მიძღვნილი წარმოდგენა. გარდა ამისა, სხვადასხვა დროს ქართულ სცენაზე იდგებოდა პ. უმიკაშვილის პიესები — „დამარცხებულნი“, „ოონი“, ანუ მახლასა ჯოჯოხეთში“, „ბენეფისის წინ“ და ვ. კრილივიანა გავმოკეთებულ კომედია „ალერსოა მად“. მის პირად არქივში ინახება აგრეთვე მთელი რიგი ორიგინალური და თარგმნილი პიესების ხელნაწერები და დაუსრულებელი პიესების ფრაგმენტები („ქალის როლები“, „ორი ჯორი“, „მზე-ჭაბუკი“, „ანრიდონა სავანე“, „ახესალთა და ეიფრი“, „ინტერმედიასავით“, „ცილისწამება“, „სურათი ს. მესხის საჩუდელო მუშაობიდან“, მოღებვის „მიზანტროპი“, პაოლო ფერარის „გოლდონი“ და სხვ.<sup>6</sup>

<sup>5</sup> „წენი სახობა“, „ცკალი“, 1898 წ. 2, 2.

<sup>6</sup> შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების არქივი, პ. უმიკაშვილის კოლექცია, 4, 1-11, 5, 12-16.

პ. უმიკაშვილის პიესები, მართალია, არ გამოჩნდებოდნენ მაღალი მხატვრული ღირსებით, მაგრამ თავის დროინდელ ხალხში გარკვეულ როლს ასრულებდნენ თეატრალურ ცხოვრებაში და ხშირად გაჭირვებიდან გამოჰყავდათ ქართული სცენა.

1892-1893 წლებში პ. უმიკაშვილი მუშაობდა ქართული დრამატული საზოგადოების გამგებობის მდივანად. მოკლე ხნის მანძილზე მას წესრიგში მოუყვანია თეატრის ქონება. ამის შემახებ ევ. გაბაშვილი ვადმოგვცემს: „ქართული თეატრის უერთფელის ძალა იყო პეტრე, როგორც მხნე პრაქტიკა და წესის და რიგის დამცველი კაცი. ქართულ უზაგადობას სასტიკად სდევნიდა და ცდილობდა სუყველა ჩვენ საქმეში წესიერება და ლოგიკა შეეტანა. თეატრის ბიბლიოთეკა, თეატრის ქონება, თეატრის რეპერტუარი, ქართულურის შეღწეობით აჭაიქ გაფანტული, დიდი მზრუნველობით, დიდი სიუღრძქმლობით და თავგანწირულობით შექარიბა, აღნუსხა და თავ-თავის ალაგა მიურიანა“.

პ. უმიკაშვილს სიკვდილამდე არ შეუწყვეტია ზრუნვა ქართული თეატრის წინსვლისა და განვითარებისათვის. 1900 წელს მან აქტიური მონაწილეობა მიიღო ქართული თეატრის აღდგენის 50 წლისთავის დღესასწაულის მომზადებასა და საცხარებაში. დრამატული საზოგადოების საიუბილეო სხდომაზე პ. უმიკაშვილმა წაიკითხა ვრცელი მოხსენება — „ქართული თეატრი და ლიტერატურა 50 წლის მანძილზე“, ხოლო საზეიმო საღამოზე მზურავლად მიულოცა სცენის მუშაკებს ქართული თეატრის დღესასწაული: „ეს ტკბარი შექმნა ხალხს თავისი ღონით, — მიმართავდა იგი თეატრის მუშაკებს, — მაგრამ მისი საქმის აღმსრულებელი, განმარტოვებლები თქვენა ბრძანდებით, ამ ტკბარს მუშაონ და მოსაძენონ. დღევანდელი ჩვენი სახალხო დღესასწაული თქვენი დაქმნასწაულია. თქვენსა და ჩვენს სიხარულს იქნება შემოჰყოლოდეს კენესა გულისა, მაგრამ ხუ შედრებთ. დიდი საქმე ხელაფრებისა, ამ მშვენიერის ხელაფრების დამკვიდრებისა ჩვენში თქვენმა ნიჭმა, თქვენმა ღვაწლმა განამტკიცა. თქვენ მრავალი დაბრკოლება შეგხვდათ და გხვდებათ, მაგრამ დასძლიეთ და კიდევ დასძლიეთ. თქვენი სახელი ქართულის ხელაფრების, თეატრის და ლიტერატურის ისტორიაში ჩაიბეჭდა. ვერაფერი ვეღარ წაშლის თქვენს შრომას, თქვენს სახელს დღევანდელი დღესასწაული, ეს საერთო სიხარულის გამოცხადება, ეს პატივისცემა, თქვენი გვირგვინია, ხელთაყმქმელი გვირგვინი, საზიზხავან მოძოდონი. ის არის თქვენი დიდება, თქვენი ჯილდო, თქვენი გზის დალოცვა და კურთხევა მომავლის თქვენის მოღვაწეობისათვის“<sup>7</sup>.

ამ მიმართავდა პ. უმიკაშვილი ქართული თეატრის მოღვაწეებს, ეს სიტყვები მთლიანად ეტყობა მათ ავტორს, რომელიც სცენის მუშაკებთან ერთად 40 წლის მანძილზე დაუღალავად ეწეოდა ქართული თეატრის მძიმე უღელს, მათთან ერთად ემსახურებოდა პროფესიული თეატრის აღდგენისა და განვითარების საქმეს.

ქართველი ხალხი მუდამ პატივისცემით მოიგონებს პეტრე უმიკაშვილს, როგორც დაუღალავ საზოგადო მოღვაწეს და ქართული თეატრის მოჭირბალებს.

<sup>7</sup> „ქართული სცენის დაარსებიდან 50 წლის შესრულების დღესასწაულად“, „ივერია“, 1900 წ. 7, 26.



ტორს მე-20 საუკუნის კლასიკოსის სახელი დაუწოდებოდა. თუმცა არც თუ ისე დიდი ხანია, რაც ამ განსაზღვრებაში შეიზღოთ თავისი ძალა. მით უფრო დიდი დრო და მრავალწინაგოვანი გზის გავლა დაჭირდა პროკოფიევის მუსიკას თეორიული და პრაქტიკული ათვისებისა და აღიარებისათვის.

კომპოზიტორმა პირველი მნიშვნელოვანი ოპუსებიდანვე დაიწყო უაღრესად თეატრალური მუსიკოსის სახელი. მისი შემოქმედების ეს ნიშანი თანაბრად ვერცდებოდა არა თეატრალურ განხრებზე. პარადოქსულია, მაგრამ მაინც აღსანიშნავია, რომ პროკოფიევის სწორედ წმინდა თეატრალურმა განხრებმა და კერძოდ ოპერამ მოიპოვა ყველაზე გვიანი აღიარება და პირველადი მნიშვნელობა არა მარტო საბჭოთა ოპერის განვითარების საქმეში, არამედ თვით კომპოზიტორის შემოქმედებაშიც. წლების მანძილზე შეინიშნებოდა პროკოფიევის ძლიერ მონაპოვართა აღიარების დროს სასწორის გადახრა სწორედ საოპერო განხრის საპირისპიროდ; ასევე ხშირად წარმოითქმებოდა ფრაზა — პროკოფიევი ვერ შეეჭიდა ოპერასო. ეს მაშინ, როდესაც უკვე არსებობდა „სემიონ კოტკო“ და „ომი და მშვიდობა“.

მიუხედავად თვით პროკოფიევის შემოქმედების თავებრუნებულ სიახლეში უნდა ვეძიოთ, რომელიც ჯიქურ შეიტრა ტრადიციულ ჩვევებზე განვითარებულ მუსიკალურ ცნობიერებაში. დრამატურგიული ფორმები, მუსიკალური ენის, გამოსახვის საშუალებათა განახლების ძიებით ანებუდილი პროკოფიევის მუსიკა მოქალაქეობრივ უფლებას მხოლოდ დროითი დისტანციის გარკვეული გადალახვის შემდეგ მოიპოვეს, მას შემდეგ, რაც მისმა მუსიკალურმა ენამ ასიმულაციის აუცილებელი გზა განვლო.

პავალითად, გამოსახვის იმ ხერხებმა, რომლებიც პროკოფიევის შემოქმედებაში ადრე მთლიანად ექსპრესიონისტული მიმდინარეობის გავლენას მიეწერებოდა, დღეს რეალისტურ მუსიკაში სასიცოცხლო უფლებები მოიპოვა, აღიქმება როგორც კანონზომიერი მომენტები და ოსტატობის თვალსაზრისით თანამედროვეთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

პროკოფიევის საოპერო მემკვიდრეობის, როგორც დღემნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ, ამჟამად მტკიცებაც ზედმეტია. საბჭოთა ოპერის განვითარების გზები კარდინალურ საკითხებში არსებითად არის დაკავშირებული პროკოფიევის საოპერო მემკვიდრეობასთან. ამასთან სახეებით შესაძლოა, რომ მისი შემოქმედების იმ ელემენტებმა, რომლებიც სადღეივად ჩვენთვის ნაკლებად შესაძინევა, ახალი ბიძგი მისცეს სხვადასხვა ეროვნულ საფუძველზე დაყრდნობილ საოპერო ძიებებს.

პროკოფიევის საოპერო მემკვიდრეობის მენცერული კვლევის, თეორიული აღიარების გზა საბჭოთა მუსიკისმცოდნეობაში იგივე მიმართულებით მიდიოდა. სადღეისოდ შექმნილმა კონცეპციებმა პროკოფიევის საოპერო დრამატურგიის შესახებ დიდი ადგილი დაიკავეს გენიალური კომპოზიტორისადმი მიძღვნილ თეორიულ ნაშრომებში, რომელთა რაოდენობა ბოლო დროს საგრძნობლად მოჭარბდა. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს თეორიული სტატიების ორი კრებული, გამოშვებული გამოცემლობა „საბჭოთა კომპოზიტორის“ მიერ ერთსა და იმავე პერიოდში — 1962 წელს. ესენია

# სერგეი პროკოფიევის საოპერო შემოქმედება საბჭოთა მუსიკისმცოდნეობაში

ნანა ქავთარაძე



ვენს მუსიკალურ ყოველდღიურებაში მწვლია დაისვას რომელიმე პრობლემური საკითხი — ტრადიციისა და ნოვატორობის, მუსიკალური ეთიკისა თუ ესთეტიკის, ეროვნულობის, მუსიკალური ენის განახლების, გამოსახვის საშუალებათა ძიების, კომპოზიციური ტექნიკის თუ სხვათა შესახებ, რომელზეც პასუხი არ გავცემს სურვილი პროკოფიევაში.

მისი შემოქმედების გასაოცარმა მთლიანობამ, მსატრფოლი სიმართლის ძიების შეურყვეველმა კანონზომიერებამ, კომპოზი-



„პროკოფიევის სტილის ნიშნები“ და „სტატები და მასალე-ბი“. მათგან პროკოფიევის საოპერო დრამატურგიისადმი მიძღვნილი სტატებიდან პრინციპულად გვინდა გავამახვილოთ ყურადღება ორ მათგანზე. ეს არის მ. საბინინის „პროკოფიევის საოპერო სტილის შესახებ“ და ვ. ცუკერმანის „რამდენიმე აზრი მ. პროკოფიევის თვით „სიმონ კოკოშვი“. მაილამი ყურადღების გაანახილება გამოწვეული არა მარტო იმ დროს, რომელიც გულისხმობს ღრმად და საფუძვლიან ანალიზს, მასივად დაკვირვების, განზოგადების წმინდა მეცნიერულ უნარსა და მეთოდს. საყურადღებოა ის დროითი დისტანციაც, რომელიც ამ ორი სტატიის შექმნის შორის არის მოცემული. ცუკერმანის გამოკვლევა მიეკუთვნება 40-ან წლებს, საბინინის სტატია კი შეიქმნა 60-იან წლებში. ამდენად შესაძლებელი ხდება ამ ორი სტატიის განხილვის საფუძველზე პროკოფიევის საოპერო დრამატურგიის შეფასებისა და ანალიზის რეკონსტრუქციის იმ ცვლილებების შეშინება, რომელსაც საბჭოთა მუსიკისმცოდნეობაში ქჷონდა ადგილი უკანასკნელ 20 წელწადში. ბუნებრივია, რომ პროკოფიევის შემოქმედების ათვისების პირველ ეტაპზე საბჭოთა მუსიკისმცოდნეობა წინააღმდეგობებს აწეებდა. ამ წინააღმდეგობებით შეიძლება აიხსნას ის ზოგიერთი არასწორი დებულება, რომელთაც ადგილი აქვს არა მარტო ცუკერმანის სტატიაში, არამედ 40-იან წლებში და უფრო გვიანაც გამოქვეყნებულ სხვა მუსიკისმცოდნეთა შრომებშიც (ასაკოვერ, ხუბოვი, კელდში, რიყინი) და რომელთა გადაფასებაც თან მოიტანა დრომ. ეს სრულიად კანონზომიერი მოვლენაა, მით უფრო, რომ ამ გამოჩენილი კრიტიკებისა და თეორეტიკოსების ობიექტური დაკვირვებით, პროკოფიევის საოპერო მუსიკის ნეკატორი თუ პოზიტორი ნიშნების ანალიზი ბიძგს აძლევს შემდგომი პერიოდის გამოკვლევებს ახალ თვისებათა ძიების ორიენტრებაში. ამ მხრივ როგორც შემაჯამებელი და განმარჯვებელი, აღსანიშნავია საბინინის სტატია.

ტრადიციული საოპერო ფორმების განახლებას მუსიკალურ ხელოვნებაში ადგილი აქვს დიდან ოპერის წარმოშობისა. ეს განახლება სხვადასხვა საშუალებებითა და გზებით ხდებოდა, მაგრამ ამოსავალი წერტილი ყოველთვის მუსიკის, სიტყვისა და სცენური მოქმედების თანაფარდობის საკითხი იყო. მე-20 საუკუნეში ეს თანაფარდობა განსაკუთრებით გააქტიურდა, ჩაქტელმა საოპერო ნიშნებმა ადგილი დაუთმო „გამჭილ“ დინამიურ სცენებს. ცხოვრების ახალმა მაკისცემამ, ახალმა ინტონაციურმა და რიტმულმა აღქმამ ყველა თანამედროვე ძიებანი ერთ მიზანს დაუქვემდებარა. ეს არის საოპერო სტატების, ფორმის დანაწევრების დაძლევა განთავისების უწყვეტლობით, სადაც დინამიკა და ლაკონიზმი პირველად მნიშვნელობას იძენს. ამ გზით მიდის თითქმის ყველა თანამედროვე საოპერო კომპოზიტორი — რასაკვირვლია, სხვაგანვე სტილისტური, ესთეტიკური და ეროვნული პოზიციებიდან. პროკოფიევიც თავისი საკუთარი თვალთახედვა აქვს, რომელიც ყოველი ახალი ოპერის შექმნის ფართოდება, ღრმადება. საცმარისია შევადაროთ „მოთამაშის“ და „ომი და მშვიდობის“ მუსიკა, რომ ადვილად დაერწმუნდეთ პროკოფიევის საოპერო ესთეტიკის გენეატურ ნაბიჯებში. „მოთამაშ“ ფსიქოლოგიურად დაძაბული დრამაა, სადაც გმირთა

სამყარო უკიდურესი აღგზნების პირობებშია ჩაქვემდებარებული (სცენა). „სიყვარული სამი ფორთხაფისადმი“ ეჭვით მიხედვით, მახვილგონიერებისა და დინამიკის ნაწილი ფუნერვერცია, ოპერა-პაროდია, რომლის მსგავსი ნიშნების დასახლება თანამედროვე მუსიკაში შესულებელია. კომიკურ ხასაგრძელებს ოპერა „დენაში“ შერბიდანის მიხედვით, სადა ტრადიციული ოპერა-ბუფუსა და ზალადური ოპერის ნიშნების ტრანსფორმაცია სანტრეკუს საოპერო ფორმებს წარმოქმნის. „სამი ფორთხაფის“ პაროდული ტონი აქ გმირთა ადამიანური სითბოთა შერბილებული.

დრამატული ოპერების ტრადიციით იხსნება პროკოფიევის საოპერო ესთეტიკის ახალი გვერდი. „სემონ კოკოშ“, „ომი და მშვიდობი“ და „ამბავი ნამდვილი ადამიანისა“. ახალ ქუმანურ-დემოკრატიული იდეები, საოპერო სიუჟეტის პატრიტულ-ეროვნული საფუძველი ამ ოპერებში პროკოფიევის საოპერო ესთეტიკის ახალ მხარეებს გადაგვიშლიან. მართალია ამ ოპერებში დარჩა იგივე პროზაული ლიბრეტოს გამოწოლა წაკითხვის პრინციპი, მეტყველების ლაკონურობა, დაუკუბული დინამიზმი, გამორღვ და გამოსახვის ზოგიერთი სემიოტიკური ხერხებიც, რაც გაცხდებოდა „მოთამაშში“, „სამ ფორთხაფისში“, მაგრამ მათ მიემატა ახალი, პროკოფიევის ოპერების დინამიკისწინააღმდეგობა — ხალხურ-ეროვნული იერსახეები და ინტონაციები, ხალხური მეტყველების ის ნაირსახეობა, რომელიც საფუძვლად დაედო თავის დროზე მუსორგსკის ნოვატორობას. და პროკოფიევიც ხომ ტრადიციული საოპერო ფორმების გაღრმავებისა და განახლების გზით მიდის.

არც ერთ საოპერო ესთეტიკს არ განუვლია კრიტიკულ-ანალიტიკურ სფეროში იგივე ცვალებადობა, ევოლუცია, იმდენი მწვავე წინააღმდეგობების გადალახვა, როგორც პროკოფიევისას. ეს იყო ქემპარიტი დრამატული ნიშნების აღსაფრეს აღიარებისაკენ და რაც უფრო მწვავე სასიათს დებულებას გამოით, რაც უფრო მეტი იყო აზრთა დაპირისპირება, მით უფრო ახალი პორიზონტები იხსნებოდა პროკოფიევის საოპერო დრამატურგიის სფეროში. კამათის გამომწვევი საკითხი მრავალი იყო, მაგრამ მათი საერთო ამოსავალი წერტილის გამოჩნება, ვფიქრობ, მაინც შეიძლება. ეს იყო პროკოფიევის ოპერებში გამოსახვის ახალი საშუალებებისა და ახალი დრამატურგიული ელემენტების თანარჩებობა. კონტრასტულ შერწყმა და მათი კანონზომიერად მიჩნევა. ტრადიციულ ჩვენებზე აღზრდილი სმენისათვის კი ეს სიახლე ბევრ რაშეს დადოვ ხდოდა.

ბუნებრივია, ტრადიციულ ოპერაში ვერ შევხვდებით ისეთ მომენტებს როგორცაა „ომი და მშვიდობიდან“, მაგალითად, თათბირი ფლიშიმ, ან ავილით თუნდაც „სემონ კოკოშ“ III მოქმედების მორე ნახევარი. ლუბა, რომელსაც უყვარდა მეზღვარი ცარევი, მოწვე გახდა მისი მამობრობისა. შემზარავმა სურათმა იგი გონებიდან ააცდინა. გაოგნებული დაღის და მონოტონურად მოთქვამს ერისა და იმავე სიტყვებს: „Нет, то не Васильев“. მისი მოტივი-მოტივს პროკოფიევა საფუძვლად დაედო მონუმენტურ მრავალგემიან ხანძრის სცენას. სემიონს და მიკოლას მოკლულ მეგობართა გემები მიაქეთ პარტიზანებთან. განჯაშს, მდევრების გაგზავნის მოსდევს კოტკოს სახლის დაწვა. სიფულები მორბიან ხანძ-



რის ადგილას და ცდილობენ ცეცხლის ჩაქრობას, რათა იგი არ მოედოს მთელ სოფელს, მაგრამ ადგილზევე ქვაგდებიან: ცეცხლის წყვილები ნაბრძანებით იყო გერმანელების მიერ. ლუ-ლას ოსტინტატი თანდათანობით ჩაითრევს შეკრებილთა მთელ მასას და გადაიარდება გუნდის ხმობანებაში. მოკლე მოტივი გამაგნებელ დინამიურ დაძაბულობას იწყებს. ყველაფერი მას ექვემდებარება, შთაბეჭდილება, თითქმის ლუბას გათვრის და დაედანადე მოქმედების ყოველ წვერს. გლუბები-სათვის ეს არის გარდამტოქმედების საშინალება, სოლიასა და ფროსიასათვის შიში შეყვარებულების ბედზე. (ПОИМАЮТ — НЕ ПОИМАЮТ), ზვირბას-სონიას დედისათვის კი დემობრივი შიში შეილის მომავალზე. ხანძრის შემზარავი სურათით გამ-ბეჭებული ყველა ეს ურთიერთგადაჯაჭვული ეპიზოდი, ხა-სათებში და განწყობა კინემატოგრაფიული სისწრაფით რომ მიდის, პროკოფიევმა გააერთიანა ერთ მონოლიტურ სცენად, რომლის გამომგნებელი შემოქმედებია, რასაკვირველია, ვერა-ვითარ შემთხვევაში ვერ გადმოიყვამოდა მარტო ტრადიციული საოპერო ფორმების გამოყენებით. ამავე დროს ეს არ არის განყენებული ნოვატორული ხერხი და იგი ორგანულ სინთეზ-მას ყველაზე სასიციფო ტრადიციულ ელემენტებთან.

ჯერ „სემიონ კოტკოს“, ხოლო შემდეგ „ომი და მშვიდო-ბის“ გამოჩენამ დიდი რეაქცია გამოიწვია, პირველ რიგში, საოპერო ფორმების მერადობის პოზიციების გადასინჯავში. ასაფიცი და მასთან ერთად მთელმა მუსიკალურმა კრიტიკამ მკვერად დაუპირისპირეს „სემიონ კოტკოს“ როგორც დეკ-ლამაციურ-დიალოგიური ტიპის ოპერას, ხრენიკოვის „ქარის-შეღობი“. გ. თ. „სასიმღერო ოპერის“ ეს ახალი ტიპი თავისი მღერადობა და უშუალობით მიიჩნეოდა, როგორც „საბჭო-სა ოპერის განვითარების ერთადერთი სწორი გზა“ (ხუბო-ვი), ხოლო „სემიონ კოტკოს“ მელიოდირობა და გულწრფე-ლობა არასრულ საფუძველზე შეარდნობით „როგორც ძვილის თაყვანყრად დაყენება“ (ხუბოვი). იგივე საყვედური გაისმა უფრო მოგვიანებით „ომი და მშვიდობის“ მიმართაც. დრომ, რასაკვირველია, ამ ორივე მთასზრებამი შეიტკანა საკმაო კო-რექტივი და მოახდინა მათი სრული გადაფასება. ეს ითქმის ცუკერმანის სტატიაში მოცემული ზოგიერთი დებულების მი-მართაც. რომელთა გადაწყვეტამიც ავტორი ზემოთ აღნიშნუ-ლი მიზეზების გამო რიგ შემთხვევებში ვარდება წინააღმდე-გობაში. ის საკითხები, რომლებზეც მასთან უარყოფითი შეფასე-ბას იღებენ, შეიძლება მისივე დებულებებით გაეაქარწყლოთ. ასე, მაგალითად: საკითხი ოპერის მღერადობის შესახებ: ავ-ტორი არ უარყოფს, რომ ოპერაში კანტილენა სასებლები გან-დევნილი არ არის და ამის დაბრუნებატურებლად ასახელებს ოპერის შესავალს, ფროსიას სიმღერას „и шумит, и гудит“, საქორწილო სიმღერას, ღამის იდილის თემის, საშლოფიერო გუნდს „ანტიფონის“ სიტყვებზე და დასკვნით სუნდს. აგრეთვე იმ ნაკლებად დასრულებულ მელიოდირ ეპიზოდებს, რომლე-ბიც ხმოვანებენ ხან ორკესტრში და ხან ვოკალში და თემის წინმეწელობას იღებენ. ასევე არ თვლის „კოტკოს“ რეჩიტა-ტივების უზრავლეობას როგორც კანტილენის ანტიეთესას. მაგ-რამ მიუხედავად ამისა, რატომდაც მაინც აღნიშნავს, რომ ოპერაში არ შეიძინება საკმაო მელიოდირობა. ამას ცუკერმა-ნი ხსნის იმ გაერმოებით, რომ პროკოფიევთან კანტილენე-

რობა და კონსტრუქციული დასრულებულება ერთმანეთს არ ემთხვევიან (რაც არც არის შესაძლებელი პროკოფიევთან რაში) და დასძენს: „Впечатление кантиленности было бы большим, если бы Прокофьев не следовал той досадной для слушателя манере, по которой певцу даются сплошь и рядом только «отходы» оркестровых мелодий или неполная тема, целиком проходящая лишь в оркестре“. სინამდვილეში ასეთ ხერხს პროკო-ფიევი იყენებს მხოლოდ და მხოლოდ დრამატული განვითარების უწყვეტობის მისაღწევად. და აქ არის სწორედ პროკოფიევის, როგორც საოპერო დრამატურის დიდი ძალე. სიუჟეტების კალეიდოსკოპურ ცვალებადობაში დეკლამაციური დამოკე-ბის, სახასიათო რეჩიტატიული ფრაზების აღქმა მშინენლს უადვილებდა იმ გამაერთიანებელი მელიოდირი თემის საფუ-ძველზე, რომელსაც მას აწვიდს ხან ორკესტრი და ხან ვოკალი. „კოტკოში“ ძნელია ისეთი რეჩიტატიული ეპიზოდის დასაგ-ლება, რომელსაც მელიოდირი საორკესტრო ფონი არ ახლდეს. სწორედ ამ მელიოდის საშუალებით ხდება სახასიათო, სიტუა-ციის თუ იერსახის მთავარი წერვის ფიქსირება. ამის ბრწყინ-ვალე ნიმუშია ჩემს მიერ გვევ. აღწერილი ლუბას ოსტინტის გამოყენება ხანძრის სცენაში ან II აქტის ფინალში საქორწი-ლო გუნდის (рано—раненько) ფონზე სოფლელების შეთ-ქმულების სცენა თეორეგარდიების წინააღმდეგ. პროკოფი-ევი თანაფარდობას მღერადობასა და რეჩიტაციას შორის ძნე-ლად თუ დააჩვენებს. ამის მაგალითები „ომი და მშვიდობაში“ კიდევ უფრო შესამჩნეია, ვიდრე „კოტკოში“.

შემდეგ ცუკერმანი აღნიშნავს, რომ „Некоторые кон-тиленные моменты не воспринимаются слушателем как таковые, так как даны в одновременном звучании с речитативом или даже с ритмизованным разговором других действующих лиц“. ამავე შენიშვნა-ში კი სინამდვილეში გამომდგანებულა პროკოფიევის რო-გორც დიდი საოპერო ნოვატორის ერთ-ერთი ბრწყინვალე თვისება. ეს არის ნაირგვაროვანი ზერხების კონტრა-პუნქტი.

ამის მაგალითია III აქტში „ღამის იდილის“ თემის ფონზე სემიონისა და სონიას დეტეტი. იდილის მღერად თე-მას აგრძელებს სემიონი, სონია კი შემოთთებული საშინელი სიზმრით უკვება სატრფოს მის შინაარსს და ავის მომასწავე-მელ წინათგანბრებებს. მისი წვეუტლი ფრაზები კოტკოს კან-ტილენაზე დაშენებული. სემიონი თავისი მშვიდი ტონით თითქმის ამშვიდებს სონიას, სინამდვილეში კი ქალის სილე-ფრი მღელვარების ეფექტი ამით კიდევ უფრო გამაზილებუ-ლია. ეს პროკოფიევის ბრწყინვალე, ოსტატური მიგნებაა. ანალოგიური მაგალითია კოტკოს მოტივზე „ше! солдат с фронта“ მ. ხონზე ფროსიასა და სონიას მეტად ცოცხალი დეკლამაციური დიალოგები. ცუკერმანის ზემოხსენებულ უარ-ყოფით შენიშვნებს მისივე ზუსტად ფორმალურებული ფრა-ზები აბათილებენ და ხსნიან მათ როგორც პროკოფიევის დრა-მატურტივის მეტად თავისებულ და ძლიერ მოვლენას. «Способность представлять сложное в музыкальном языке как простое, умерять сложность одного эле-мента подчеркнутой простотой других, одновремен-



სენა I მოჭედებიდან



სემიონ კობკო —  
ა. ჩაკალიძე

არგენიუკი — ნ. ნადიბაიძე



სერგეი პროკოფიევის  
ოპერა „სემირონ კოტკო“  
თბილისის ფ. ფალიაშვილის  
სახ. ოპერისა და ბალეტის  
აკადემიურ თეატრში



სოფიო — მ. ამირანაშვილი

ცარევი — მ. დონაძე, ლუბა — ზ. ხორავა



ტკბენკო — ი. შუშანიძე  
შუბა — რ. გელოვანი





ნო с ним действующих, всегда была в числе лучших своих друзей музыки Прокофьева». (სტრ. 18).

ხშირად უკვირებდნენ პროკოფიევს ექსპრესიონიზმით გატაცებას. რამდენადაც იგი მართლაც შესაძრწევია ადრეულ ოპერებში, იმდენად შორს დგას კომპოზიტორი მისგან „სემიონ კოტკოვი“ და „ომა და მშვიდობაში“. მაგრამ ასეთი შენიშვნები აქტიურად გაისმოდა მაშინ, როდესაც ყოველგვარი ნოვატორობა ჯერ კიდევ გაიკებოდა, როგორც მოდერნიზმით გატაცება, ხოლო ექსპრესიულია ინათლებულა ექსპრესიონიზმით. აქედან მდობრად გატაცებულა შესარულა გადამწყვეტი მნიშვნელობა. დღეს პროკოფიევის ექსპრესიული მომენტების ამასხველ ხერხებს თავისი სასიცოცხლო უფლება გააჩნიათ და მისი საოპერო დრამატურების ერთ-ერთ ძლიერ მომენტად აიიან აღიარებულა. ეს არის თუნდც პროკოფიევის საოპერო ოსტინატობები, რომლის პრინციპზეა აგებული ნატკას სცენა ახარსიმოვასთან კურაგინთან ინცედენტის შემდეგ (შენ სუ-რამი), (საორკეტრო ოსტინატო), ან შესანიშნავი მაგალითი საგუნდო ოსტინატოსი ანდრეის სიკვდილის სცენაში — გუნდის ფონი პუტი, პუტი, პუტი, რომელიც მოგვაგონებს ანალოგიურ შემთხვევას „ცეცხლოვანი ანგელოსიდან“ რენატოს გალუცინაციის სცენაში (grace, grace), უნიკალური ნიმუშია ლუბას ტრაგიკული ოსტინატო „Нет, нет, то не Ва-ш-ляк“. „კოტკოდან“ მაგალითების რიცხვის გარდა კიდევ შეიძლება, რომლებიც შეტყველებენ პროკოფიევის ოსტი-ნატური ხერხების მრავალსახეობას — რიტულ, პარინიულ თუ ფაქტურულზე. ყოველ ადებულ შემთხვევაში მათი წარ-მოშობა გამოწვეული დრამის განვითარების მეტი სტაბილუ-რების, მეტი კომპაქტურობის მიზნით. მით უფრო ხვდება ყურის ცვატრმანის დებულება იმის შესახებ, თითქოს „კოტ-კოს“ მუსიკის ექსპრესიულობა არ იყოს სრულფასოვანი. ავ-ტორის თქმით, სრულფასოვნებას ხელს უშლის ოპერაში გა-ბატონებული დეკლამაციურობა და კომპოზიტორის მისწრა-ფება — ყოველ სიტუაციაში გადმოსცეს, პირველ ყოვლისა, სახასიათო ელემენტი. სინამდვილეში აქაც იგრძობა პროკო-ფიევის დრამატურული ოსტინატობის ძალა და იგი თუ უშ-ლის ხელს მუსიკის ექსპრესიულობას, არამედ პირიქით, აძლიერებს სხვა გამომსახველ ელემენტებთან ურთიერთმოქმე-დებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში „კოტკოვი“ არ შეიქმნებო-და ისეთი სცენები, როგორცაა ნიშნობის, ხანძრის, გადამა-კების განვითარის სცენები, რომელთა არსებობაც ოპერაში თა-ვისთავად აბათილებს შეხედულებას ოპერის ექსპრესიის არა-სრულფასოვნების შესახებ. სხვაა, როდესაც სტატის ავტორი (ამავე 40-ანი წლების სხვა ავტორებიც) ემოციური სისავ-სის ზოგად უაზროფიო ნიშნებში ასახელებს „კოტკოვი“ გმი-რული ხაზის უქონლობას, რამაც არ შეიძლება არ დავეთმან-მოთ. სემიონ კოტკო თავისი გამიზნულობით გმირული პერსო-ნაჟი უნდა იყოს, მაგრამ მისი სახის განვითარება ოპერაში ეანრულ-ყოფითი ნიშნების ხარჯზე ხდება და მსმენელის მიზიდულებაც კოტკოს მიზნით ამ პლანში წყდება და არა გმირული. შესაძლოა, ამ გარემოებამაც გამოიწვია ოპერის ბოლო სცენების, განსაკუთრებით ბოლო აქტის დინამიური მოდუნება, ტემპის დაქცევა.

რეგი წლების მანძილზე კომპოზიტორს უსაყვედუ-

რებდნენ მელიოდური დეკლამაციის ხელდუნობის სტრუ-ციის სიმრავლეს, მათ შეუპაპაობას დრამატურული გმირ-თარების ლოგიკის მიმართ. ისმება კითხვა — რატომ? — პა-სუხს გვაძლევს საბინის სტატიაში მოცემული შესატყვის განმარტება, რომ პროკოფიევის საოპერო დრამატურების ამ სფეროში კრიტიკული აზროვნების მერს მაშინ ჯერ კიდევ არ იყო შემწეული მელიოდური აზროვნების განახლების პერს-პექტივა. დღეს კი ეს საოპერო ხელნაწების განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. განა ამ გზით არ მიდის გერმანი, პუტენი, ონგენი, ბრიტანი, ოროფ და თანამე-როვე საბჭოთა კომპოზიტორები?!

პროკოფიევის ოპერებს საფუძვლად უდევს პროზაულ ტექსტი — დოსტოევსკი, ტოლსტოი, პოლკოვის თუ კატა-ევსკის. მათი პროზის მუსიკალური გახსნისათვის პროკოფიევის აირჩია ერთადერთი გზა მუსიკალური დეკლამაციისა. სწორედ იმამთა პროკოფიევის ტალანტის ძალა, რომ მან შესძლო შესძლო პროზაულ ტექსტის მუსიკალური პოეტისაციის აწევა. ასე წარმოშევა პროზის მუსიკალური გახსნისათვის თავისებური მელიოდური ენა. მასში წმინდა მელიოდურ საწ-ყისთან ერთად დიდ როლს ასრულებენ სამეტყველო ინტონა-ციები. რით დაიხლვია პროკოფიევა მათი იმ მსოლდნული ხელნაწებიდან, რომელიც, მართლაც, გარკვეულ სამიზო-ციებში წარმოადგენდა? ზოგად — იმით, რომ თანამედრდე „მუსიკალური ტექსტის“ შესაძლებლობები რუსული მეტყვე-ლების მდგომარეობის უფრო მრავალფეროვანი წარმოსახ-ვის საშუალებით ჩააყენა, უფრო კონკრეტულად კი იმით, რომ ყოველ ფრაზაში პოულობდა მისი ემოციური ხასიათის სახ-ვახმელ სიტყვას — აჯაგებს. საყურადღებოა საბინისა და ე-კრევა, მაგალითად, ანდრეის მონოლოგი (სცენა ოტარა-ნიში), რომი და მშვიდობიდანა. მისი მონოლოგის ტექსტში განსაკუთრებით გამახვილებულია სიტყვები „გაზაფხული“ და „სიყვარული“. სწორედ მათი განზოგადება იძლევა მელოდო-ბის სტიმულს, რადგან ისინი გამოხატავენ გმირის სულიერ მდგომარეობას. ხოლო როცა გამოსახვის ესა თუ ის ხერხი მხატვრული ამოცანის მიზანს ამართლებს, იქ ხელნაწებშია ლაპარაკი ზედმეტად.

მრავალი მაგალითის დასახელება შეიძლება იმაზე, თუ როგორ არის მუსიკაში „დაკვირული“ ტოლსტოის რიტყველე-ბის ინტონაცია. მაგალითად შე-ენ სურათში ნატკას მოსტკას რეპლეკაში ახროსიმოვას საყვედურებზე: *Оставь... те... что мне я... умру!*, პროკოფიევი მუსიკალური პაუზების საშუ-ალებით განსაკვეთებით ძალით გადმოგვიცემს ტოლსტოის ემოციურ განავალწერტლებს. მსგავსი მაგალითების დასახე-ლება შეიძლება „კოტკოდანაც“, რომელიც საოპერო რეჩიტა-ტივების ნამდვილი ლაპორატორიაა“ (ნესტიევი). პროკოფი-ევი აქ იყენებს ვოკალურ-დეკლამაციური გამოშახველობის უპირაც ელემენტს — დაწყებულს მდგომარეობაში არიოხული ტი-პიდან, გათავებულს წმინდა ყოფითი ხასიათის *sprechst-imme*-ით (გარტყული პროზა). ზოგჯერ რთულიც კი ხდება რეჩიტატივის დასატყვიური გადასვლის შემწევა მელიოდური მდგომარეობის ფაზაში. ცვატრმანა მახვილად შენიშნა, რომ „პროკოფიევი პროზაში ექებდა იმას, რისი ამტყველებაც შე-იძლებოდა მუსიკით, იქნებოდა ეს იუმორი თუ ფარული ლი-



რეა. ამ შემთხვევაში კომპოზიტორი ტექსტში პოულობს განრულ-განმარჯვებულ მომენტს — ტექსტს, მარში, სკერცოზულობას და, მასთანადე, ანსოვადებს ტექსტს, ან გამოხატავს მოქმედი პირის დამოკიდებულებას წარმთქმულისადმი. ამ შემთხვევაში განსოვადებს ქვეტექსტს<sup>16</sup>. მხოლოდ ამ ცნით გაუთანაბრდა პროფიციების მუსიკა მისივე ოპერების ლიტერატურულ პირველწყაროს.

პროფიციება ოპერა დაუხლოდა მუსიკის მიმდევ დარეგებს — რომანს, თეატრს, კინოს, ქორეიას. ამიტოვე რთული ხდება პროფიციების ოპერების კლასიფიკაცია ეანრული სიხუტებით. თეთთული ოპერა ეანრული ჰიბრიდის ნიმუშია. ასე, „ომი და მშვიდობა“ არის ოპერა — რომანი ლირიკულ-ფსიქოლოგიური პლანისა. ამავე დროს იგი ოპერა-ეპოპეიკაა, რომელიც სასალო მუსიკალური დრამის ელემენტებს შეიცავს. წინააღმდეგ ეკლდისისა და რიციანის მოსახურებისა, საბინის მარტოებულად მუთითებს ამ ოპერის ორი ეანრული ნაირსახეობის არა გამიჯნვას, დაპირისპირებას და ამით ნაწარმოების მთლიანობის დარღვევას, არამედ ამ ორი ასტიქისა — თანარსებობასა და ურთიერთშერწყმას. პროფიციება, მართლაც, იძლევა ამ ორი ეანრული პლასტის შემამხრებულ თაღს. მაგალითათვის ანდრეი ბოლოცნის სახის დასახელებაც საკმარისია. გავისენით მის პარტიაში გმირულ-პატრიოტული ხაზის თანდათანობით შემოჭრას და განვითარებასაუბრაი პიეტთან ბოროდნის ბრძოლის წინ. გაგამხრებულთ ყურადღება სიტყვებზე. Мы выиграем это сражение, убитый и лудит насмерть, ах сеньора! სიკდილის წინ — увидеть издешарную Москву.


იგივეა „სემონ კოტკოვიც“, რომელიც ეურნალისტურ სხატრ მონახურებში დაგმოდევებს სამოქალაქო ომის პირობებს და მასთან ეადმინისტრულ, უკრანული სოფლის მცხოვრებთა ბედს. ლირიკულ-ფსიქოლოგიური, ყოფითი და ისტორიული ამბები ოპერის „პოლიფონური“ დაგვმარებას იწვევს, სადაც კონტრასტების გრძობა ლირიკულსა და გროტესკულს შორის, ტრაგიკულსა და ყოფითს შორის განსაკუთრებით გამამრებული ხდება.

პროფიციება ხასიათების გამომჩრევის იშვიათი ოსტატია. აფორისტულია „დაწურული“ ორი-სამი მონახაზით იგი ევანდლევს არა მარტო ემოციურად ზუსტ, არამედ პლასტიკურად შესატყვის მუსიკალურ პარტურტასაც. მაგალითად, ნატაშას მუსიკალურ პარტიაში I აქტში, შესაძლებელია, იგრძნოს არა მარტო მისი მჩქეფარე სიცოცხლის ძალა, სიხარული, არამედ ის ეესტიცი, მიმოხვრა, რომლითაც ეს განწყობილება უნდა გადმოცეს. პირველად ეს ეიუნშემტენმა შენიშნა და აღიარა: „У Прокофьева удивительно развития способность в звуках «слышать» пластическое изображение». ტყულიად არ ჰქვია პროფიციება საბალეტო მუსიკის გენაღური კომპოზიტორი. მუსიკალურ იერსახეს პროფიციება ანეიტარებს მკვეთრი, უეცარი კონტრასტების მოხერხებით. კომპოზიტორის თეატრალურობაც იმანია, რომ ეს კონტრასტები განპირობებენ როგორც სახეების შინაგან ტრანსფორმაციას, ისე განვითარების ლოგიკურობას. ამიტომ ცოცხლობს მის ოპერებში რომანტიკულად ამაღლებული გმირების გვერდით, გროტესკული, მახინჯი ტიპები, ლირიკულის გვერდით ტრაგიკული. პროფიციების ოპერებში გმირები მიწიერი ცხოვრე-

ბით ცოცხლობს და ამაში პროფიციების მუსიკისწარმოდევროვე ელერადობის ძალა. მარად ცოცხალი სახეების ანსრქის ნატაშა, კეტუზოვი, სოფია, ფროსია, სემიონი, ტაქენკო, მეუნდოზა, დუნია, ლუბა და სხვა. რა ნაადრევი იყო ასაფიციების განახარება (Сов. Музыка 1958 г. № 3), რომ პროფიციები არ არის მუსიკალური გავების დრამატურული. „ომი და მშვიდობა“, ისევე როგორც „სემონ კოტკო“ ამ დებულების გაქარწყლებაა. მარტო, ომსა და მშვიდობაში“ ნი მოქმედი გმირია. თეთთულ მათგანს თავისი მუსიკალური სახე გააჩნია, რომელიც სხვა პერსონაჟებთან ურთიერთობაში ვითარდება და მდიდრდება. საჭირო იყო მართლაც პროფიციებისეული ტალანტი, რომ ოპერაში მთლიანობის დაურღვევლად შექმნილიყო იმდენი მუსიკალური პარტურტი — ინდივიდუალისტული და მკვეთრად სახასიათო, რამდენი მოქმედი პირიცაა. დრამატურების შემსპირისეული გავების გათეშ ამ ამოცანის გადაჭრა შეუძლებელია. ავიღოთ თანდაც დინამიზაციის ისეთი ბრწყინვალე საშუალება, როგორიცაა მრავალგვებანი კომპოზიციის გამოყენება, როდესაც ერთდროულად რამდენიმე დრამატული სიტუაცია იქმნება და მუსიკა ყველა ამ სიტუაციის სახასიათო მომენტს აღებუდავს: პროფიციების ასეთ „პოლისტიკურ“ პლასტს თავისი „ტონიკა“ და „დომინანტა“ გაჩნია, კონტრასტების ეს მეოთხი მისი დრამატურის უძლიერესი საშუალებაა. გავისენით „კოტკოში“ ნიშნობის სცენა: სანამ ტაქენკო ესაუბრა სამაჰანსკლოდ მოსულ ცარებას და რემინუსც, მუხოლო ოთახში სოფიო და დედამისი გაეციცებით ეშხადგენია ნიშნობისათვის. ორევე სცენა ერთდროულად ვითარდება. მოქმელები ტაქენკოსაგან ვარკველ პასუხს მოითხოვენ, ის კი მიტო-მოკიბულს მოყვება. სასაეუროდ მეორე ოთახში გასული ქალიშვილისაგან დაფინებით მოითხოვს უარის თქმას კოტკის ცოლიბაზე. სოფიო და დედამისი ამ დროს მემოვარებისაგან ხელსაც კი უშლიან ერთმანეთს სოფის განუწყობაში. ამ ორი სცენის თაღს წარმოადგენს ტაქენკოს ქამელეონისეური ქვევა—ერთის მხრივ მოციქულეთთან თავშეკავება, მეორეს მხრივ — ქალიშვილზე გაჯაერება.

პროფიციები მხატვრული განსოვადების დიდი ოსტატია. სიხუტე, დეტალიზაცია და განსოვადება მასთან ყოველთვის ურთიერთგავიზრნია მოცემული. ამიტომ არის, რომ მის ოპერებში სახის შინაგან ცხოვრების მთლიანობა არასოდეს არ ირღვევა. მაგალითად, ნატაშას სახის განმსაზღვრელი შტრიხები არასდროს არ განეიორდება ელენის პარტიაში, ან ანდრეისი კურაგინთან, ფროსიას სოფისთან, ტაქენკოს სემიონთან. ინდივიდუალიზირებისა და განსოვადების მეოთხი პროფიციების მუსიკაში პოლიფონურად ცოცხლობს.

პროფიციების საოპერო სტილის თავისებურებების მრავალფეროვნება მსჯელობისა და კამათისათვის ულვე მასალას იძლევა. ჩვენ შევეცადეთ ყურადღება გაგვემხვილებია მის ოპერების იმ დრამატურულ ხერხებსა და გამოსახვის საშუალებებზე, რომლებმაც დროთა ვითარებაში მოიპოვეს თავისი სასიცოცხლო ულლება და თანამდროვე მუსიკალური სტიტიკის სფეროში დღეს მიიჩნევიან, როგორც პროფიციების ოპერების ყველაზე საინტერესო მხარეები.



საც არქიტექტურაში მკვეთრად დგება მდღაძარს ერთგულ-  
ლი ტრადიციების ათვისებისა და გამოყენების სწრაფობა  
და, რასაკვირველია, ნიჭიერი ახალგაზრდა არქიტექტორი  
მთელი მონადირეობით, პატრიოტული შეგნებით ისწრაფ-  
ვის სიახლისაკენ, ეძებს გზებს.

ცნობილი ქართველი ინჟინრის გიგო ქურდიანის ოჯახ-  
ში აღზრდილს, განათლებულ და დიდი ერუდიციის შე-  
მოქმედი ადამიანის მთელ ცხოვრებასა და მოღვაწეობას  
წითელი ზოლივით გასდევს ამა თუ იმ ხუროთმოძღვრულ-  
ლი ჩანაფიქრის გადაწყვეტისა და ხორცშენსმის დროს  
ეროვნული არქიტექტურული ფორმებისა და მოტივების  
ძიება და გამოყენება.

მაგონდება 1932-33 სასწავლო წელი, როდესაც ვერ  
კიდევ სტუდენტს, მომეცა საშუალება ახლოს გავცნობო-  
დი არჩილ ქურდიანს. სამშენებლო ინსტიტუტის სტუდენ-  
ტთა ერთი ჯგუფი პროექტირებაზე ვმუშაობდით, და, აი  
ერთ დღეს გაიღო პუბლიცისტის კარი და შემოვიდა ლექ-  
ტორთა ჯგუფი. მათ შორის ჩვენი ყურადღება მიიპყრო  
წარმოსადგემა და ახოვანმა, საინტერესო გარეგნობის  
ახალგაზრდამ, რომელიც ცხარედ ეკამათებოდა თავის კო-  
ლეგებს. როდესაც ჩვენი მოიცილა, თვალი გადაავლო  
ჩვენი ნახაზებს, ზოგი შეაქო, ზოგი დაიწუნა, გული რომ  
არ დაგვწყვეტოდა, თავისი სტუდენტობაც მოიგონა, შეც-  
დომებზე ვიზრდებოდი — დაგვაშვიდა. ის ახალ-  
გაზრდა ხუროთმოძღვარი არჩილ ქურდიანი გახლდათ. მა-  
ლე იგი ჩვენი ხშირი სტუმარი გახდა, დაგვიმეგობრდა, ყო-  
ველ მის მოსვლაზე ვიცოდით, რომ იგი ჩვენი დედაქალა-  
ქის რომელიმე ახალი ნაგებობის პროექტზე გაგვესაუბ-  
რებოდა, შემოქმედებით ბიძეს მოგვეცემა. ამ დროისათვის  
არჩილ ქურდიანი უკვე რამდენიმე პროექტის ავტორი იყო.

## არჩილ ქურდიანი

მიხეილ ლორთქიფანიძე



ნობილი ქართველი ხუროთმოძღვარი არჩილ  
ქურდიანი არქიტექტორთა იმ თაობის თვალსა-  
ჩინო წარმომადგენელია, რომლის შემოქმედება  
მჭიდროდ არის დაკავშირებული საბჭოთა ეპოქის არქი-  
ტექტურის განვითარების ძირითად ეტაპებთან, ახალი სო-  
ციალისტური პერიოდის ხელოვნებისა და ხუროთმოძღვ-  
რების მიზნებსა და ამოცანებთან.

არჩილ ქურდიანის, როგორც ხუროთმოძღვრის პირვე-  
ლი გაბედური ნაბიჯები სამოღვაწეო ასპარეზზე მისი ჭა-  
ბულობიდანვე იწყება. ეს ხანა ემთხვევა პერიოდს, როდესაც

სტუდენტობის წლებში  
მან ვაკის საცდელ-სამ-  
კონსტრუქციო რაიონის და-  
გეგმარების პროექტი  
დაამუშავა, რომელმაც  
კონკურსზე გაიმარჯვა  
და ნაწილობრივ გან-  
ხორციელდა კიდევ  
მის შემდგომ შემოქმე-  
დებაში ყველაზე საინ-  
ტერესო და მნიშვნე-  
ლოვანი მოვლენა იყო  
დინამოს სტადიონის პროექტი, რომელიც შექმნილია  
მხატვარ პ. პრინციპის თანავტორობითა და პროფ. ა.  
კალგინის კონსულტაციით. კონკურსზე წარდგენილ სხვა  
პროექტებთან შედარებით, იგი წარმოადგენდა ახლები-  
რად გადაწყვეტილ რთულ შემოქმედებით ჩანაფიქრს, რომელშიც ცხოველბატული ქართული ხუროთმოძღვრების  
ფორმები და მოტივები შერწყმული იყო ნაგებობის სწორ  
ფუნქციურ გადაწყვეტასთან. იმ პერიოდის ქართული საბ-  
ჭოთა არქიტექტურის ისტორიაში იწყებოდა ახალი მნიშ-  
ვნელოვანი ეტაპი — ყალიბდებოდა ფორმით ეროვნული



არჩილ ჭურდიანის დაბადების 60 და შემოქმედებითი მოღვაწეობის 35 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში 1964 წლის 27 მარტს

და შინაარსით სოციალისტური არქიტექტურა. არჩილ ჭურდიანი მარტოოდენ პროექტების შექმნით არ კმაყოფილდება. იგი მათი განხორციელებისათვის თავ-კამოღებული მებრძოლიცაა. მე იგი მინახავს თავის სახე-ლოსნოში მნიშვნელოვან პროექტებზე შუამოხმის დროს ნამდვილი მშენებელი იყო, რომელიც ილტვოდა არა მარტო თავისი ხუროთმოძღვრული ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანისათვის, არამედ ეძებდა სახსრების დაზოგვისა და მშენებლობის ღირებულების ეკონომიისათვის საჭირო საშუალებებს.

1936 წლიდან არჩილ ჭურდიანი თბილისის მთავარი არქიტექტორია. ეს ის პერიოდია, როცა საბჭოთა არქიტექტურის წინაშე დაისვა ქალაქების სოციალისტური რეკონსტრუქციისა და განაშენიანების საკითხები. იწყება თბილისის განაშენიანების გენერალური გეგმით ვაჟა-ფისაინიანი რეკონსტრუქცია — ქალაქის მთავარი არქიტექტორი არჩილ ჭურდიანი ცხრა წლის განმავლობაში უშუალოდაა ჩაბმული ამ დიდ საქმეში. მისი ხელმძღვანელობით იზრდება თბილისი, სახეს იცვლის, მხრებს შლის, ფართოვდება და ახალი მაკისტრალეებითა და ნაკვებობით მშვენიდება.

ამ პერიოდში არჩილ ჭურდიანის მოღვაწეობა მარტოოდენ დედაქალაქის მასშტაბით არ ამოიწურება. 1938 წელს მას საბჭოთა კავშირის სასოფლო-სამეურნეო გამოყენების საქართველოს პავილიონის პროექტის შედგენა დაევა, რომელიც არქ. გ. ლევანთან ერთად ბრწყინვალედ შეასრულა და დაავიკორგენია კიდევ. საქართველოს პავილიონი მოსკოვში გადაწყვეტის სისადავითა და საზეიმო

იერით გამოირჩევა. იგი საგამოფენო ნაკვებობის ყველა დანიშნულებას პასუხობს. არქიტექტურულ კომპოზიციაში მთავარი — შენობის შიდა გამაერთიანებელი ეზო-ვესტიბულიური გეგმის არა მარტო ფუნქციური გადაწყვეტის მთავარი მომენტია, არამედ წამყვანია პავილიონის საერთო მხატვრულ-მოცულობით კომპოზიციაში.

შენობის დეკორში გამოყენებულია ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების საუკეთესო ნიმუშები. თავისი გა-


აქადემოსის გიორგი ჭიბინაშვილი ისლამზა იბრაიმიძის






ახალი ტელეცენტრის მშენებლობაზე ა. ქურდიანი, მშენებლობის დირექტორი მ. კვიციანი, ინჟინერი დ. კობახიძე

„დინამოს“ სტადიონის რეკონსტრუქციის პროექტი



დიდუბის ხიდი




აზრებით ეს ნაგებობა ეროვნული არქიტექტურის მშენებ-  
ლოვან შენაძენს წარმოადგენს. მისმა ავტორმა სახელმწიფო  
პრემიის ლაურეატის ოქროს მედალი და ლენინის ორ-  
დენი დაიმსახურა.

ყოველ ახალ ამოცანას საინტერესო ჩანაფიქრი მოს-  
დევდა, შემოქმედებით ძიებას — ახლებური გააზრება და  
და გადაწყვეტა. შემოქმედებით საქმიანობაში მის გვირ-  
დით მუდამ იდგნენ ლაწლამოსილი კოლეგები და ახლო  
მეგობრები, მისი საყვარელი ოჯახი — მეუღლე და ვაჟი.  
დედა, მამა და შვილი სამივე ხუროთმოძღვარი, საკუ-  
ლისხმო იშვიათობაა.

ხშირად გვინახავს არჩილი და მისი მეუღლე ქეთევან  
სოკოლოვა სახაზავ დაფასთან და თბილისის სხვადასხვა  
მშენებლობის უბნებზე. ქეთევანი ხომ ერთ-ერთი პირველი  
ქართველი ხუროთმოძღვარი ქალია, დიდი პროფესიული  
კოდნისა და კარგი გემოვნების არქიტექტორი, რომლის  
პროექტებით განხორციელებული ნაგებობებით, კომფორ-  
ტაბელური საცხოვრებელი სახლებით დამშენებულა  
თბილისის ქუჩები. იგი მხარში უდგას თავის მეუღლეს,  
ხოლო გაიმ. მათმა ვაჟმა ჯერ კიდევ სამხატვრო აკადემიის  
სტუდენტმა, პირველი არქიტექტურული ნათლობა მამის  
ხელმძღვანელობით მიიღო. არჩილის შინაშენილოვან ხე-  
